სს „სილქ ბანკი“ აცხადებს ტენდერს სერვის ცენტრების რიგის მართვის სისტემის შესყიდვა/მონტაჟზე.
ტენდერის მიზანია გამოავლინოს დაინტერესებული კომპანიები, რომლებიც შეძლებენ მოთხოვნილი მომსახურების გაწევას.

მოწყობილობის რაოდენობა იხილეთ მიმაგრებულ ფაილში (დანართი N2)

ტენდერის პირობები

- მომწოდებლის მიერ შემოთავაზებულ წინადადებაში ფასი უნდა იყოს გამოსახული ლარში, უნდა მოიცავდეს მონტაჟის ღირებულებას, ტრანსპორტირების/მოწოდების ხარჯებს საქართველოს მაშტაბით, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მათ შორის დღგ-ს;
- სატენდერო წინადადებაში უნდა მიუთითოს მიწოდების ვადა; საგარანტიო პირობები, ვადა (საგარანტიო პერიოდი არ უნდა იყოს 1 წელზე ნაკლები);
- გამარჯვებული კომპანია ვალდებულია ანგარიში გახსნას სილქ ბანკში და პროექტის დასრულების შემდგომ თანხის ჩარიცხვა მოხდება სილქ ბანკში გახსნილ მიმდინარე ანგარიშსზე;

აუცილებელი მოთხოვნები

- კომპანიას უნდა ჰქონდეს შესაბამის სფეროში მოღვაწეობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება. ასევე , უნდა ჰქონდეს შესრულებული მსგავსი პროექტი;
- კომპანიამ უნდა წარმოადგინოს შევსებული ტენდერის სააპლიკაციო ფორმა დანართი N 1;
- წარმოდგენილი სააპლიკაციო ფორმა და წინადადება აუცილებლად უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული;
- კომპანიის წინააღმდეგ არ უნდა მიმდინარეობდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და არ უნდა იყოს ლიკვიდაციის / რეორგანიზაციის პროცესში.

დამატებითი მოთხოვნა :
შემსყიდველის მოთხოვნით, ტენდერის ნებისმიერ ეტაპზე, პრეტენდენტებს ასევე შესაძლებელია მოეთხოვოთ სხვა დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა.
სატენდერო განცხადებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს პრეტენდენტის ტენდერიდან დისკვალიფიკაციის საფუძველი.

ანგარიშსწორების პირობები

- სისტემის შესყიდვის/მონტაჟის დასრულების შემდგომ გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის ხელმოწერიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში შემსყიდველი უზრუნველყოფს ანგარიშსწორებას;
- ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით;
- ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას;

გამარჯვებულის გამოვლენა
სატენდერო კომიტეტი განიხილავს წარმოდგენილ ყველა სატენდერო წინადადებას და გამარჯვებულად გამოავლენს ერთ კომპანიას, ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- შემოთავაზებული პროდუქციის ფასი;
- პროდუქციის ხარისხი/სპეციფიკაცია;
- მოწოდების ვადები;

- საგარანტიო პირობები;
- კომპანიის გამოცდილება.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი პროდუქცია სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ტენდერის პირობებით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი იტოვებს უფლებას არ განიხილოს შემოთავაზება.

მომწოდებლის მიერ წარმოსადგენი დამატებითი დოკუმენტაცია:

- სარეკომენდაციო წერილები (მინიმუმ 2 კომპანიის);
- კომპანიის მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია, გამოცდილება, კლიენტების სია (თავისუფალი ფორმით).

თანდართული დოკუმენტაცია :

დანართი N1 - ტენდერის სააპლიკაციო ფორმა ;
დანართი N2 - მოწყობილობის რაოდენობა;
დანართი N3 - პროექტის ნახაზი;
დანართი N4- ფილიალების მისამართები;

შემოთავაზებების მიღების წესი

შემოთავაზება დალუქული კონვერტით უნდა წარმოადგინოთ სს სილქ ბანკის სათაო ოფისის კანცელარიში, 9 ივლისს დილის 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.
მისამართი - ქ. თბილისი, ზაარბრიუკენის მოედანი N 2.

წარმოსადგენ დალუქულ კონვერტზე აუცილებელი მონაცემები

- ტენდერის სახელწოდება;
- კომპანიის სახელწოდება;
- საიდენტიფიკაციო ნომერი;
- საკონტაქტო ინფორმაცია (პასუხისმგებელი პირი, ტელეფონი და ელ.ფოსტა).

ამავდროულად, გთხოვთ სატენდერო წინადადება ასევე გამოაგზავნოთ ელექტრონული ფორმით 10 ივლისს შემდეგ ელ.ფოსტაზე procurement@silkbank.ge.
დოკუმენტის მომზადება/წარდგენასთან დაკავშირებით, კითხვები შეგიძლიათ მოიწეროთ procurement@silkbank.ge მისამართზე ან დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელ. ნომრებზე:

- ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი - შალვა ლეჟავა ტელ: 577362888
- ლოჯისტიკის სამსახურის სპეციალისტი - ელენე მუსხელიშვილი 577372939

მადლობა დაინტერესებისათვის